

# ხობის მოამბე

№14-15 (7175)
18 ნოემბერი,
შაბათი, 2023 წელი.
ფასი 1 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო


# „ვმოქმედებთ ჩვენი ხალხის სახელით და ჩვენი ხალხისთვის“

## ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებაზე ევროკომისიის რეკომენდაციასთან დაკავშირებით ბრიფინგი გამართა



საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მადლობა გადაუხადა საერთაშორისო ლიდერებს და ევროკომისიის გადაწყვეტილებას „ისტორიული“ უწოდა.

„ეს პერიოდი იყო ძალიან დატვირთული, ჩვენ უზარმაზარი სამუშაო გავწიეთ“,–განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

„დღეს ვიხილეთ ანგარიში, რომელიც არის ერთმნიშვნელოვნად და მკაფიოდ პოზიტიური, დადებითი და ეს გადაწყვეტილება ეფუძნება მიღწეულ შედეგს“.

ღარიბაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ 12 რეკომენდაციასთან დაკავშირებული ყველა საკითხი საქართველოს ხელისუფლებამ ევროკომისიის გადაწყვეტილებამდე ევროპელ ლიდერებთან დააზუსტა.

„ძალიან მოკლე პერიოდში დავხურეთ თითქმის ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც იქნა მოცემული ჩვენი ევროპელი პარტნიორების მხრიდან“,–აღნიშნა მან.

მისი თქმით, ხელისუფლება გააგრძელებს დიალოგს და თანამშრომლობას ევროპელ პარტნიორებთან.

„მიუხედავად უამრავი დაბრკოლებისა, უამრავი წინააღმდეგობისა, საბოტაჟისა თუ პროვოკაციებისა და არაერთი დესტრუქციული ქმედებებისა, შიდა თუ გარე მტრების ერთობლივი, კოორდინირებული მოქმედებებისა, ჩვენ გავიმარჯვეთ, ჩვენმა ქვეყანამ გაიმარჯვა დღეს, ჩვენმა ხალხმა გაიმარჯვა, გაიმარჯვა ჩვენმა სიმართლემ“,–განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

„ქართული ოცნების“ მიერ მიღწეული შედეგების შეჯამებისას, ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ „დღევანდელი დღე არის ერთგვარი დამაგვირგვინებელი და შემაჯამებელი ჩვენი 11-წლიანი საქმიანობისა, რომელმაც მოიტანა მშვიდობა, სტაბილურობა, ის დიდი ტრანსფორმაცია და ცვლილება, შეიძლება ასე ითქვას, ევროპეიზაციის 10 წელი, ვინაიდან თუ ვინმემ, რომელიმე ხელისუფალმა და მმართველმა, რაიმე გააკეთა ხელშესახები ევროინტეგრაციის გზაზე, ეს არის „ქართული ოცნება“. მიღწევებს შორის მან ასოცირების შეთანხმება, თავისუფალი ვაჭრობა, უვიზო რეჟიმი, ევროპული პერსპექტივა და ბოლოს, კანდიდატის სტატუსი დაასახელა, რომელსაც პრემიერის თქმით, საქართველო „საბოლოოდ დეკემბერში მიიღებს“. მან ამ მიღწევებში „ქართული ოცნების“ დამფუძნებლის, ბიძინა ივანიშვილის დამსახურებასაც გაუსვა ხაზი.

ღარიბაშვილმა ევროკომისიის დღევანდელ გადაწყვეტილებას „ერთადერთი სწორი, ღირსეული, გონივრული და ბრძნული გადაწყვეტილება“ უწოდა. მან ასევე განაცხადა, რომ მეტი უნდა გაკეთდეს საქართველოს სრული ევროპეიზაციის მისაღწევად. აღნიშნა, რომ საქართველოს გაერთიანება საბოლოო მიზანია და ევროკომისიის გადაწყვეტილება ქვეყანას ამ მიზანთან აახლოებს.

ქართული ოპოზიციის განცხადების კომენტირებისას, რომ კანდიდატის სტატუსს ხალხი იმსახურებს და არა ხელისუფლება, ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს ხალხისთვის: „ჩვენ წარმოვადგენთ ჩვენი ხალხის ნებას, ვმოქმედებთ ჩვენი ხალხის სახელით და ჩვენი ხალხისთვის საქართველოს ხელისუფლების მიღწევების დაკნინება სუსტი მცდელობაა“.

ღარიბაშვილმა ოპოზიციის შესახებაც ისაუბრა და განაცხადა, რომ სამწუხაროდ, არც ოპოზიციას და არც პრეზიდენტს არაფერი გაუკეთებიათ ქვეყნის ევროინტეგრაციის გზაზე. მან ასევე განაცხადა, რომ „ანგარიშში წერია ერთმნიშვნელოვნად და მკაფიოდ, რომ ეს რეკომენდაცია ეფუძნება მიღწეულ შედეგს. შედეგი, ბუნებრივია, დადო ხელისუფლებამ, მთავრობამ, ანუ იმ ხელისუფლებამ, რომელიც არის არჩეული ქართველი ხალხის მიერ“.

## ჩვენს მუნიციპალიტეტში



ხობის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს-სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს პირველი სხდომა გაიმართა. სხდომაზე საბჭოს წევრებმა ხმათა უმრავლესობით, საბჭოს თავმჯდომარედ დემურ ბუკია, ხოლო საბჭოს მდივნად ანა არაბული აირჩიეს.

ხობის მუნიციპალიტეტის მერმა დავით ბუკიამ საბჭოს წევრებს წარმატებები უსურვა და მადლობა გადაუხადა სამოქალაქო აქტიურობისთვის. მერის განცხადებით თანამშრომლობა იქნება მრავალმხრივი, ნაყოფიერი და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების დაცვაზე და მათი წინადადებების განხორციელებაზე ორიენტირებული.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში შედიან: ანა არაბული, გია გელაშვილი, დემურ ბუკია, თეონა ჩარგაზია, კახაბერ ნადარაია, კუკურ ნაცვლიშვილი, ლევან აბრამია, ლელა ალანია, ლელა ჯახუა, ნუგზარ შონია, როლანდ ჯიქია, ფერიდე გოგია.

საბჭოს უფლებამოსილებას განეკუთვნება განიხილოს მერის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია, მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტები, მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ წინადადებები, მუნიციპალიტეტის სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტების პროექტები. მოამზადოს, განიხილოს და მერს წარუდგინოს წინადადებები მუნიციპალიტეტში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების და მათი მოგვარების შესაძლო გზების შესახებ; მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე მოაწყოს დისკუსიები და საზოგადოებრივი განხილვები; სხდომაზე მოიწვიოს და მოუსმინოს მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებს და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირების ხელმძღვანელებს; მონაწილეობა მიიღოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის მომზადების პროცესში და განიხილოს ბიუჯეტის პროექტი.

საბჭოს საქმიანობის მიზანია: ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფა, მერის საქმიანობაში საზოგადოებრივი ჩართულობის გაზრდა, მოქალაქეთა ინტერესების წარმოდგენა და დაცვა.

## „მემიყვარსხობი“

### „ღირსეული სამადლობელი ღვაწლმოსილებს“



2-3

## ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი (პროექტი)

6-15

# „მემიყვარსხობი“

24 ოქტომბერს–ჰეშთეგით „მემიყვარსხობი“ გაერთიანებული, წარსულის დიდების, სტუმართმოყვარეობის ტრადიციებით, სულსა და გულში გამჯდარი კულტურული მემკვიდრეობით გამორჩეული, მითიურ საბურველში გახვეული კოლხთა შთამომავლები დილიდანვე ემზადებოდნენ სტუმრების დასახვედრად.

გულმოდგინედ ფუსფუსებდნენ ხობის ცენტრალური მოედნისა და ცენტრალური პარკის მიმდებარე ტერიტორიებზე კულტურისა და სპორტის წარმომადგენლები. ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელ პირებთან ერთად, ადგილობრივი მეწარმეებიც თანდათან შეიკრიბნენ, მათ შემოუერთდნენ ზესტაფონის, სურამის, ფოთის, ზუგდიდის, სენაკის, აბაშის მეწარმეებიც... პირველად ჩვენს სამეწარმეო ფესტივალზე გამოჩნდნენ უცხოელი მეწარმეებიც... თანდათან დალაგდა ბავშვთა, ახალგაზრდული, კულტურულ-საგანმანათლებლო-გასართობი და სპორტული სივრცეები და თანდათან იმატა საზეიმო განწყობამაც.

***

14:00 საათიდან ხობის კულტურის სახლში გაიხსნა „მემიყვარსხობი“ ღონისძიება, რომლის მიზანი ჩემი, თქვენი და ჩვენი ურთიერთსიყვარულის გაღვივება და გაფრთხილება იყო.

ჩვენი ხობი–ეს ჩვენ ვართ და ჩვენს დიდ სიყვარულს, თითოეული ხობელის ოჯახის პატივისცემასა და მოფრთხილებას ნიშნავს, ამიტომ ყველა ხობელისადმი, მისი ყოველი ოჯახისადმი მილოცვის, წარმატებული და ბედნიერი მომავლის სურვილებით დაწყებული საზეიმო ცერემონიალის მონაწილენი შეუერთდნენ ახალგაზრდა მხატვართა გამოფენას.

ამჯერად ხობის საგამოფენო სივრცეს მასპინძლობდნენ თამარ ნადირაძე-ბუკია და ნათია სანიკიძე თავიანთი მოდერნული ნამუშევრებით. დამთვალიერებლებს სასიამოვნო გარემოს უქმნიდა ვიოლინოს სულში ჩამწვდომი ცოცხალი ჰანგი...

ცენტრალური პარკის შესასვლელთან გამოფენილი იყო ხობში–პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში, მაჩხომერის მთაზე მიმდინარე არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ექსპონატების სურათები. ხობის უძველესი ისტორიის ამსახველი ფოტოებიდან ევროპასთან ურთიერთობის კვალი იმზირებოდა კოლხურ ლოდებში ამოტვიფრული ბერძნული წარწერებით... უხარია ყველას, მაგრამ არ უკვირთ, რადგან ხობს უხსოვარი დროიდან ჰქონია გაჭრილი გზა ევროპისკენ...

მითიური კოლხეთის უძველესი ისტორია ხომ ათეული წლების უკან გააცოცხლა ინგლისელი მკვლევარის, ისტორიკოსის, ოქსფორდის უნივერსიტეტის დოქტორის ტიმ სევერინის განმეორებითმა ექსპედიციამ არგოს ნაკვალევზე, რომელიც დღევანდელ ყულევს - ისტორიულ რედუტ-კალეს ნაპირებს მოადგა 1984 წლის ივლისში(ფოთში შესვლამდე), საიდანაც შესაძლებელია დიდი აიეტის ქალიშვილი მედეა გაიპარა ან გააპარეს ევროპელებმა დიდი საიდუმლოებებით დატვირთული...საოცარი ისტორია შეიძლება იმალებოდეს ხობის სახელის, მისი კულტურის, მისი ისტორიის უკან...

***

15:00 საათიდან პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე გზადაგზა მეგრული ფოლკლორის თანამედროვე სახეები ჩნდებოდნენ–ანსამბლ „კოლხეთის“ წევრები... რა ძლიერი განცდები მოაქვს მათ ჰანგებს... გვახსენდება ძუკუ ლოლუა... გვახსენდება უკვდავი „ჩელა“, სევდიანი წარსული.

გვახსენდებიან უკვე ისტორიადქცეულ მომღერალთა გუნდები, მეგრული სიმღერების საერთაშორისო ფესტივალი „სიმღერა სამეგრელოზე“, რომელმაც არა მარტო ხობელებს და სამეგრელოს, არამედ სრულიად საქართველოს შეუნარჩუნა მეგრული ფოლკლორის უნიკალური ნიმუშები.

„სიმღერა სამეგრელოზე“ თავს უყრიდა, წლების განმავლობაში, საქართველოს ფოლკლორულ შემოქმედებით ჯგუფებს, ანსამბლებს და ქართული ხალხური თუ თანამედროვე სიმღერების ნამდვილი ზეიმი დგებოდა,




# „ღირსეული სამადლობელი ღვაწლმოსილებს“



რომელიც ხელს უწყობდა ქართული სიმღერის, ქართული კულტურის პოპულარიზაციას საერთაშორისო მასშტაბით, ამავე მიზნით, ფესტივალის პროგრამის ფარგლებში დაარსდა მეგრული ხალხური სიმღერის მუზეუმი, რომელსაც პრეცენდენტი არა აქვს მთელ საქართველოში...

ხობელობის ზეიმზე არ შეიძლება არ გავიხსენოთ ამ ფასდაუდებელი საქმის ავტორი, ყველასათვის ძვირფასი ადამიანი, ხობის მკვიდრი–ბატონი გოდერძი ბუკია. დაუვიწყარია მისი ამაგი ხობელებისთვის, მით უფრო, რომ მან ხობში ღვთისმშობლის კვართის საუკუნოვან საუფლოში (პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში) ააშენა ტაძარი ყოვლადწმინდის ქალწულის მარიამის ტაძრად მიყვანების, წმინდისა დიდისა მოწამისა გიორგისა და წმინდა მღვდელმთავრისა და საკვირველისა ნიკოლოზის საეკლესიო კომპლექსი და საპატრიარქო რეზიდენცია, ჩამოაბრძანა სიწმინდეები, რომლებიც ამავე ტაძარში დააბრძანეს...



ბევრი საქვეყნოდ ცნობილი ადამიანი აღუზრდია ხობს, რომელთა ღვაწლი თვითონ ამბობს სათქმელს და ყველაზე მთავარი–ხალხის სიყვარული დაუმსახურებიათ: ესტატე შუშანია, თედო სახოკია, იპოლიტე ვართაგავა, ალიო მირცხულავა, ჯაჯუ ჯორჯიკია, ხუტა ბერულავა, პიერ და ბადრი კობახიძეები, გრიგოლ კობახიძე (ნათელი ხსოვნა მათ სახელებს) და ელიზბარ ნადარაია. უფრო თანამედროვეობაში ნაცნობი სახელები და გვარები, რომელთა ჩამოთვლისაგან თავს შევიკავებ, რადგან მეშინია ვინმე არ გამომრჩეს და უნებლიედ არ დავწყვიტო გული... მადლობა ყველა მათგანს (ცოცხლებს) გაწეული ღვაწლისა და ამაგისთვის...

ცოტნე დადიანის საუფლოში არ შეიძლება არ გავიხსენოთ ხობელი თავდადებული ახალგაზრდა რაინდები, რომლებიც 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ტრაგიკულად შეეწირნენ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლას...

ამ ადამიანთა ღირსეულმა ცხოვრებამ მოიტანა ხობის ისტორია დღემდე, მათმა სიყვარულმა გაათბო ქვეყანა...

ქართულ ტრადიციებს დღესაც ვუფრთხილდებით და უცხოელ ტურისტებთან თავმოსაწონად ვიყენებთ...

ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა–ძეგლებადქცეული თუ არამატერიალურიც, ადათ-წესები თუ კულინარიული ფასეულობები მნახველებს იტაცებს...

ცენტრალური პარკის ერთი კუთხე სპეციალურად „მემიყვარსხობისთვის“ მოწვეულ ეთნოსოფლის წარმომადგენელს,–„სისატურას“ უკავია, რომელიც ყველას თვალწინ მეგრული სამზარეულოს მასტერკლასებს ატარებს და სტუმრებს გემრიელ გებჟალიასა და მეგრულ ელარჯზე ეპატიჟება... არსად არ იშლება ასეთი სუფრა, როგორც სამეგრელოში, თავს ვიწონებთ სუფრის აკადემიზმით...

აქვე სპორტის გულშემატკივრებს შეხვდებოდით... ნარდის, ჭადრაკის, მაგიდის ჩოგბურთის, მკლავჭიდის მოყვარულთა ჯგუფები თავისებურ აზარტს თავაზობს გარშემომყოფთ და თამაშებში იწვევს... მხიარულებაა ირგვლივ, ჟრიამული და ხალისი, ისმის ახალგაზრდული ხმები, „იხატებიან“ ბავშვები საზეიმოდ, ნაირფერად დანავარდობენ ტანწვრილი მოცეკვავე გოგო-ბიჭები, სურათებს იღებენ სპეციალურად მოწყობილი „კედლების“ წინ... ზოგიერთები ჯგუფებად მოგროვილნი პუფებში მოკალათებულან და თბილად მუსაიფობენ...

***

17:00 საათზე ადგილობრივ შემსრულებელთა საზეიმო კონცერტი აჟღერდა. სტუმრების უმრავლესობა სცენისკენ დაიძრა და გულისყურით უსმენდა მშობლიური კუთხის შვილებს... სიმღერებს ცეკვა მოჰყვა, ცეკვას პოეტ ლაშა გვასალიას ცეცხლოვანი ლექსი, აქვე გამოჩნდნენ სცენის პატარა ფერიები ზურმუხტისფრად აფერადებულები და საღამო დაატკბეს მშვენიერმა ჰანგებმა...

წინ უფრო საინტერესო და საოცარი სიურპრიზი ელოდა ხობელებს...

***

19:00 საათისთვის დიდი სცენისკენ გადავინაცვლეთ. აქ მომეტებულად იგრძნობოდა ფუსფუსი და ყურადღება, გამოჩნდნენ უცხო სახეები, საპატიო

3

## „მემიყვარსხობი“

2

სტუმრები–სამეგრელო-ზემო სვანეთის რწმუნებული–ბატონი გიორგი გუგუჩია რეგიონული სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად, მეზობელი მუნიციპალიტეტებიდან, თბილისიდან...

ხობი დღითიდღე, მნიშვნელოვან, სასიკეთო ცვლილებებს განიცდის. მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული სამუშაოები, ეს თვალშისაცემად ჩანს, არის სფეროები, რომელიც დიდ დატვირთვას იძენს, მაგრამ შედეგები სხვანაირად მატერიალიზდება... მაგალითად პედაგოგთა დამსახურებები მოსწავლეების ცოდნის ხარისხზე აისახება, ექიმისა კი პაციენტის

საპატიო წარდგენა მოუწყვეს.

ხობის მუნიციპალიტეტის წინაშე გაწეული განსაკუთრებული ღვაწლისა და დამსახურებისთვის, აქტიური და სამაგალითო საზოგადოებრივი საქმიანობისა და პროფესიულ სფეროში წარმატებული და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის ხობის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭათ:

**ნათელა ჯიჯელავას**–ხობის ცენტრალური საავადმყოფოს ექიმ თერაპევტს, ადამიანს, რომელიც ათეული წლებია ღირსეულად და მაღალპროფესიონალურად ემსახურება ჯანმრთელობის დაცვის საპატიო საქმეს. ადამიანის, რომელიც დღე-ღამის განურჩევლად მზადაა ადამიანთა

მებელი სიტყვით მიმართა და ხობის საპატიო მოქალაქეები სპეციალური სიმბოლური საჩუქრებითა და სიგელებით დააჯილდოვა ხობის მუნიციპალიტეტის მერმა, ბატონმა **დავით ბუკიამ,** მან თავის სიტყვაში მადლობა გადაუხადა ყველას, ვისაც ხობში უმოღვაწია და თავისი საკეთებელი კეთილსინდისიერად უკეთებია, ვისაც ხობის წარმატებისთვის უზრუნვია და ის ხე დაურგავს, რომლის ნაყოფის მოწევა შვილიშვილებისთვის გაუთვლია...

საზოგადოებას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბატონი **ლევან ქავთარაძე**

ირიცხნენ:

ხობის №2 საჯარო სკოლის აღზრდილები **ქეთევან ხასია და ნოდარ კარტო-**

მიერ შესრულებულმა სიმღერებმა დაატკბო საზოგადოება და დიდხანს გაჰყვებათ ქართული სიმღერების სითბო და



## „ღირსეული სამადლობელი ღვაწლმოსილებს“



მადლიერებაზე და ა.შ.

ხობს ჰყავს წარმატებული ადამიანები სხვადასხვა სფეროებში, რომელთა სახელები საზოგადოებისთვის მეტად ახლობელი გამხდარა და დაუფასებიათ კიდეც... გვყავს ისეთი სახეებიც, რომლებმაც არამარტო საქართველოს, არამედ ევროპისა და მსოფლიო ასპარეზზეც გაუთქვეს სახელი პატარა მუნიციპალიტეტს, ესენი არიან ჩვენი სახელოვანი სპორტსმენები, მედიცინის წარმომადგენლები...მადლობა მათ ამისთვის...

24 ოქტომბერსაც, დიდ სცენაზე, საზოგადოების რჩეული წარმომადგენლები წარადგინეს საპატიო ჯილდოზე, ამიტომაც იყო გამორჩეული ფუსფუსი ამ არეალში, საზეიმოდ ის ადამიანები მოიწვიეს, რომლებმაც ამ დიდ მოცემულობაში თავიანთი დაუღალავი, მუხლჩაუხრელი შრომით წლების მანძილზე შეადუღაბეს სფეროების მიხედვით სისტემები და საიმედო საყრდენი შექმნეს დარგებში. ამ ადამიანებს საზოგადოებამ განსაკუთრებული პატივი მიაგო და დაასახელა ხობის საპატიო მოქალაქეებად; მათ წითელ ხალიჩაზე ორ ჩოხოსანთან ერთად

დასახმარებლად და საკუთარი ქმედებით არის სამაგალითო ექიმი და პიროვნება საზოგადოებისთვის.

**ნარგიზა ტუღუშს**–ხობის №2 სკოლამდელი საალმზრდელო ბაგა-ბაღის მთავარ სპეციალისტს, ნორჩი თაობის ესთეტიკური ღირებულებებით აღზრდისა და ორგანიზაციის სწორი მენეჯერული უნარებით მართვისთვის.

**კუკური ნაცვლიშვილს**–ხობის მუნიციპალიტეტის ახალი სოფლის საჯარო სკოლის მასწავლებელს (ყოფილ დირექტორს), წარსულში ხობის ოლიმპიური რეზერვების სასწავლებლის დირექტორს–განათლების სფეროში გაწეული მნიშვნელოვანი წვლილისთვის.

**ფრიდონ გოცირიძეს**–ხობის „კოლხეთის“ ყოფილ მთავარ მწვრთნელს, ვეტერან ფეხბურთელს, ამჟამად „კოლხეთის“ ასაკობრივი ჯგუფის მწვრთნელს, ღირსების ორდენის მფლობელს–ხობის მუნიციპალიტეტში ფეხბურთის განვითარებისა და ახალგაზრდა სპორტსმენთა აღზრდის საქმეში გაწეული შრომისთვის.

საზოგადოებას მისასალმიესალმა, მან გაიხსენა ხობის აღმშენებლობის დრო, როცა დიდი და პატარა ერთად დარაზმულნი იღწვოდნენ ჩვენს თვალწინ ხობის უკეთესი მომავლისთვის და მადლიერება გამოთქვა ჩვენი ბებიებისა და ბაბუების თაობების მიმართ... და ხობის მერ დავით ბუკიასთან ერთად, მასწავლებლის ეროვნული დღის აღნიშვნასთან დაკავშირებით, დააჯილდოვა განათლების სფეროში მოღვაწე გამორჩეული პედაგოგები საჯარო სკოლებიდან:

ხობის №1 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი **ზაირა ცხადაია.**

ხობის №2 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი**ხურთქი (იამზე) აბრალავა.**

საგვიჩიოს საჯარო სკოლის დირექტორი, ისტორია-გეოგრაფიის მასწავლებელი **სულიკო ტაბატაძე**.

სკოლამდელი სააღმზრდელო სისტემიდან–**ნათელა ქირია**–ხეთის საბავშვო ბაგა-ბაღის ფსიქოლოგი.

**მანანა სესქურია**–ჭალადიდის საბავშვო ბაღის მთავარი სპეციალისტი.

**დარეჯან ნადარაია**–გაღმა ხორგის საბავშვო ბაღის აღმზრდელ-მასწავლებელი.

მათ გადაეცათ საჩუქრად სპეციალური სიგელები და ფულადი ჯილდო (500-500 ლარი).

ღონისძიება დაამშვენა საზოგადოებისთვის იმ ახალგაზრდების წარდგენამ, რომლებმაც ეროვნულ გამოცდებზე 100%-იანი სახელმწიფო გრანტი დაიმსახურეს და სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში ჩა-

**ზია**, ხეთის საჯარო სკოლის აღზრდილი **ქეთევან ტურავა**. მათ გადაეცათ სიგელები და ფულადი ჯილდო (1000-1000 ლარი).

ხობის საპატიო მოქალაქეებს, ძვირფას პედაგოგებს, ახალგაზრდებს და დამსწრე საზოგადოებას მიესალმა საქართველოს პარლამენტის წევრი

ეშხი მათ მოგონებებს.

საღამოს უძღვებოდა ამ დღისთვის სპეციალურად მოწვეული მსახიობი და მომღერალი, სატელევიზიო ეკრანის სახე–**თიკა ფაცაცია.** მან მისეულად გაუხალისა განწყობა საზოგადოებას.

მიილია შეხვედრის დრო–




ბატონი **დაჩი ბერაია**. მან მიულოცა ხობის ქალაქობა ხალხს, ხაზი გაუსვა ხობელთა წვლილს ხობის აღმშენებლობის საქმეში, ამაგი დაუფასა უფროს თაობას და განსაკუთრებული სითბოთი მიმართა ახალგაზრდობას, რომლებმაც ასე ასახელეს საკუთარი მუნიციპალიტეტი.

დასასრულს სადღესასწაულო განწყობა დააგვირგვინა ანრი ჯოხაძის, ნინი ბადურაშვილის, პროექტ „რანინას“ მონაწილეთა და ჯგუფი „რეგიონის“ მიერ შესრულებულმა სიმღერებმა და საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა.

საქართველოს ვარსკვლავების

დღე, როცა თანამედროვეობის გამოწვევების საპასუხოდ ჩვენს სითბოს და სიყვარულს ვახვედრებთ ყველას, ვისაც უმოღვაწია ჩვენი მამულის სასიკეთოდ და ვისაც დაუღალავი შრომით მყარი შედეგები დაუდია საზოგადოების საკეთილდღეოდ.

დასრულდა ცერემონია, მაგრამ საზეიმო განწყობა არ განელებულა (წვიმამაც კი ვერ დაშალა ახალგაზრდები) და გვიან საღამომდე ამ დიდებულ საუფლოში ზეობდა ჩვენი სიყვარული–„მემიყვარსხობი!“

მომავალ ხობელობამდე ხობელებო!

***ნინა (ნანა) ბუკია,***
***ხობის მუნიციპალიტეტის მერიის სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის განყოფილების უფროსი.***

შემოდგომის გამორჩეული დღე იყო ხობელთა ცხოვრებაში. ყველგან და ყველაფერში საქმიანი და მონატრებული განწყობა სუფევდა. ქალაქი დიდი ზემის მოლოდინის რეჟიმში ცხოვრობდა.

ხობელები „მემიყვარსხობი“ დღესასწაულს აღნიშნავდნენ...

გალამაზებული, მშვენივრად მორთული და ხალხმრავალი ქალაქი დღესასწაულის დაწყებას ელოდა.

ამ დღეს სხვადასხვა სფეროში დასაქმებულ ღვაწლმოსილ, წარმატებულ ადამიანებთან ერთად ხობის №1 და №2 საჯარო სკოლების პედაგოგებს, ფილოლოგებს ზაირა ცხადაიას და ხურთქი (იამზე) აბრალავას განათლების სფეროში წარმატებული მოღვაწეობისა და დამსახურებისთვის, ხობის მუნიციპალიეტეტის მერიისა და საკრებულოს გადაწყვეტილებით, საპატიო სიგელი და ფულადი ჯილდო გადაეცათ!

გაზეთი „ხობის მოამბე“ უერთდება მათ სიხარულს და გამორჩეულ პედაგოგებს ულოცავს ღვაწლის დაფასებას!

გთავაზობთ მათთან ინტერვიუს!

# შეხვედრა ჩემი შვილის მასწავლებელთან

***ქალბატონო იამზე, თქვენ და თქვენს ყველა კოლეგას გილოცავთ მასწავლებლის ეროვნული დღის დაწესებას. ასევე ხობის მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს მიერ განათლების დარგში წარმატებული და ნაყოფიერი მუშაობისთვის გადმოგეცათ საპატიო სიგელი და ფულადი ჯილდო. რას იტყვით ამის თაობაზე?***

–ჯილდო ყველა მასწავლესიყვარულია, თანამშრომლობაა, ზრუნვაა, პიროვნული ზრდის სურვილია...



***რამდენმა თაობამ გაიარა თქვენი პედაგოგიური მოღვაწეობის ამ წლებში?***

–ეს ჟინი იმდენად ძლიერი გახდა, რომ 1975 წლიდან დღემდე, ამ საქმისთვის ხელი არ გამიშვია. მრავალმა თაობამ გაიარა ჩემს ხელში. უფრო მორჩილმა, გულისხმიერმა, მოსიყვარულე, კეთილგონიერმა თაობამ.

***როგორი თაობა მოდის?***

–თაობა, რომელიც მოდის, მიზანდასახული, მეტი ინფორმაციის მფლობელია. სწავლება ინფორმაციის გადახარისხებაა–ეს ჩვენი სამუშაოა.

***ქალბატონო იამზე, თვლით თუ არა, რომ მასწავლებელი მოსწავლის მეგობარი უნდა იყოს?***

–დიალოგის დასაწყისშივე უნდა მეთქვა: ძნელია, უფრო მეტად რთულია, საკუთარ თავზე საუბარი, მკითხველს, მხოლოდ გუ-

***მთავარი სირთულე რა არის პედაგოგიურ მიღვაწეობაში?***

–პედაგოგიურ საქმიანობაში, სირთულეებს რა გამოლევს. მთავარი სირთულე მაინც მგონია არის ინფრასტრუქტურა, ეპოქის სიახლემ სწორედ ეს სირთულე წამოჭრა ყველაზე მეტად. სირთულეა ისიც, რომ ხშირ შემთხვევაში დედები სამუშაოს საშოვნელად არიან წასულნი და დიდია მზრუნველობასმოკლებულ ბავშვთა რიცხვი...

***თქვენი მოტივატორი რა გახლავთ?***

–მოტივაცია არის ბავშვები, პროფესიული საქმიანობა, მაღალი პასუხისმგებლობა.

***ქალბატონო იამზე, თქვენი სკოლის ორმა ოქროსმედალოსანმა მოსწავლემ ეროვნულ გამოცდებზე 100% გრანტი მოიპოვა, რას გვეტყვით სკოლისთვის ამ სასურველ და მისასალმებელ სიტუაციაზე?***

–სკოლის წარმატებული მოსწავლეები ჩვენი სიამაყეა;

ბლის მოტივაციის საგანია, ადამიანის ღირსეულ თვისებად მიმაჩნია–მადლიერება... უმადურ პიროვნებას საზოგადოების აღიარება და სიყვარული არ ექნება. მადლობელი ვარ, ყველასი, რომელებმაც ჩემი მცირედი წვლილი, ხანგრძლივი მუშაობის შედეგი დამიფასა.

***დამსახურებისამებრ ყველა გიცნობთ, მაგრამ გთხოვთ, გაზეთის მკითხველს მოუყევით, ცოტა რამ თქვენზე?***

–დამთავრებული მაქვს სოხუმის ა.მ. გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, ფილოლოგიის ფაკულტეტი, ვარ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

***ქალბატონო იამზე, რატომ მაინცდამაინც მასწავლებელი?***

–ამ კითხვაზე პასუხი არ მაქვს, უფრო სწორედ, მაშინაც ამის პასუხი არ მექნებოდა.

***ახლა, რომ აბიტურიენტი იყოთ, აირჩევდით პროფესიად მასწავლებლობას?***

–ახლა რომ აბიტურიენტი ვიყო და ასარჩევი გამიხდეს პროფესია, ისევ პედაგოგობას ავირჩევდი. იგი მოწოდებაა, ლახდილობა აინტერესებს, ვეცდები გულახდილი ვიყო მათთან; იყო ბედნიერი და რთული წლები, წარმატება და წარუმატებლობა... მაგრამ ჩემი საქმისთვის არასოდეს მიღალატია, ძალა ყოველთვის მოუცია მოსწავლეების სიყვარულსა და მათთან ურთიერთობას.

ვფიქრობ, ის ადამიანი ვარ, ვისაც უკან მოხედვის არ რცხვენია, უპირველესად მიყვარს ჩემი საგანი, ვთვლი, რომ ეს ღმერთის მიერ ბოძებული უდიდესი პასუხისმგებლობაა. შენი მშობლიური ენისა და ქვეყნის წინაშე ტვირთია, რომელსაც ამ წლების მანძილზე კოლეგებთან ერთად ვეზიდები.

***მთავარი სირთულე რა არის პედაგოგიურ მოღვაწეობაში?***

–თუ თქვენს მიერ გავლილ გზაზე თუნდაც ერთი ადამიანი გაგიხსენებთ, ჩათვალეთ, რომ თქვენ გიცხოვრიათ. მაბედნიერებს ჩემი კურსდამთავრებულთა სტუდენტობა, წერილები... რამდენიმე ამონარიდს გაგაცნობთ: „მიყვარხართ“, „სხვანაირად აზროვნება თქვენ მასწავლეთ“, „მეამაყებით“, „წლებმა ვერ გაანელა ჩვენი მეგობრობა“ და ა.შ.

როგორც დიდი კონსტანტინე გამსახურდია ამბობდა: „უდიდესი სიამაყე შეუდგება გულს, როდესაც შემოქმედების შენის ნაყოფი, სამკაულად გამოადგება ქვეყანას და მიწას–ისინი ქვეყნისა და მიწის სამკაულები არიან, ჩვენ კი–ამაყნი.

***ქალბატონო იამზე, თქვენი აზრით მოსწავლისთვის რა არის უნივერსალური გზა, რომ ის ღირსეულად გაიაროს?***

–უნივერსალური გზა თავად ახალგაზრდამ უნდა ეძებოს. ის იწყება საკუთარი თავის ძიებით–აქ სხვა უნივერსალურ გზას ვერ მიაწვდის. ჩვენთვის უნივერსალურობა შეიძლება იყოს მაგალითების ძალა...

ჩესტერ ფინდი, „წერილები ჩემს ვაჟიშვილს“ ასეთ რამეს ამბობს: საზოგადოებას მე გაგაცნობ, მაგრამ საზოგადოებაში როგორ მოიქცე, ეს თავად უნდა ისწავლოო...

***მადლობა ინტერვიუსთვის.***

–მადლობა თქვენ, იმისთვის, რომ მომეცით შესაძლებლობა გაზეთის ფურცლებზე ჩემთან დიალოგის გამოქვეყნების.

***ნანი კილასონია***

# „ჩემში ბევრი სიყვარულია...“

***ქალბატონო ზაირა თქვენ, როგორც პედაგოგი, ბევრის კუმირი ბრძანდებით. გისურვებთ, ახალ-ახალი წარმატებები კიდევ გაგიმრავლდეთ?***

–მადლობა.



***თქვენთვის ყველაზე გამორჩეული დღე?***

–რა თქმა უნდა, ბევრი გამორჩეული დღე მახსოვს, მაგრამ ყველაზე მეტად მინდა გამოვყო ღონისძიება–„მემიყვარსხობი“. ეს იყო ნამდვილი დღესასწაული, ღვაწლმოსილ ადამიანთა მოფერების დღე. ამ პატარა მუნიციპალიტეტში, კერძოდ, ქალაქ ხობში ზღვა ხალხი იყო მოწვეული.

***როგორი უნდა იყოს პედაგოგი. ე.ი. რა კრიტერიუმებს უნდა ფლობდეს?***

–პედაგოგს უპირველესად უნდა უყვარდეს ბავშვები, ფლობდეს საგანს, თანამედროვე სწავლებას, აუცილებელია ვიცნობდეთ მათ საოჯახო პირობებს.

***რამდენი ხანია ემსახურებით ამ კეთილშობილურ საქმეს?***

–სტუდენტობის პერიოდში პარალელურად ვმუშაობდი გაზეთ „ლელოსა“ და „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციებში, ტელეტაიპის განყოფილებაში. უაღრესად კულტურული საზოგადოება იყო გამომცემლობაში. კარგად შევეჩვიე, მაგრამ დედის სურვილი იყო ხობში დამეწყო მუშაობა. მარტოობა არ უყვარდა. დროებით (ერთი სასწავლო წელი) ვმუშაობდი ხობის №2 საშუალო სკოლაში. დღესაც მახსოვს იდეალური გარემო, განსაკუთრებით ვიგონებ სკოლის დირექტორს, ბატონ მაკარ ფალავას, სასწავლო ნაწილის გამგეს, ქალბატონ ვერა ებანოიძეს და სხვებს. 1974 წლიდან 1981 წლამდე ვმუშაობდი ხობის №1 საშუალო სკოლაში. მახსოვს, ბატონმა შალვა ხარებავამ წარმადგინა რაიკომის პირველ მდივან ბატონ ამირან როგავასთან. უარი ვთქვი №1 სკოლაში გადაყვანაზე ერთი მიზეზით: ყველა ჩემი ყოფილი მასწავლებელი იყო და მერიდებოდა, ვერ ვიქნებოდი კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორი, დიდი სკოლაც იყო, 650 მოსწავლე, შვიდი სხვადასხვა ეროვნების მოსწავლეებით. გაუკვირდათ და ბოლოს, რა თქმა უნდა, დავთანხმდი.

დღემდე მახსოვს მთელი კოლექტივი, თუ რამე ვიცი სასკოლო ცხოვრებიდან, ორივე სკოლის დამსახურებაა. მენატრება ყველა. ნათელში მათი სახეები, ვინც ცოცხლები არ არიან.

***თქვენთვის, როგორც მასწავლებლის, ფილოლოგისთვის რა არის ყოველთვის „ბრძოლის“ ობიექტი?***

–რა თქმა უნდა, ჩავუნერგოთ ბავშვებს წიგნის სიყვარული, უმთავრესია წიგნიერება......

***ვინც გიცნობთ, თქვენს მშობლებს და ძმაზეც სმენიათ, მაგრამ გთხოვ, მკითხველს გაეცნოთ ვინ ხართ თქვენ და ვინ იყვნენ ისინი?***

–დედაჩემი, მარო (მარიამ) გოგოლი ხობის საბავშვო ბიბლიოთეკის გამგე იყო გარდაცვალებამდე (1977წ.). ნაადრევად წავიდა და დიდი ტკივილი დაგვიტოვა... დედა ყველას უყვარდა ხობში, ბევრჯერ იყო სოფელ ნოჯიხევის დეპუტატი. ძალიან უყვარდა ახალგაზრდები, იყო კეთილი და სამართლიანი.

მამა, ბიქტორ ცხადაია, II მსოფლიო ომში იბრძოდა 1939 წლიდან... როგორც ვიცი, ომის შემდეგ მუშაობდა ოჩამჩირეში–უკვე სამხედრო კომისრად. დიდხანს არ დასცალდა. ომში მიღებული ჭრილობით გარდაიცვალა...

7

6 ◄

ძმას, იური ცხადაიას, დამთავრებული ჰქონდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. დაიღუპა 1998 წელს. დიდად არ გვიყვარს საკუთარი თავის წარმოჩენა. კარგი მამა და მეუღლე იყო.

მყავს ქალ-ვაჟი, უკრაინელი რძალი, შვილიშვილები. მეუღლე გურამ შენგელია ადრე გარდაიცვალა..

მშობლების გარდაცვალების შემდეგ, და იქამდეც, ჩემი და, ზოია ცხადაია იყო და არის დღესაც მშობლების როლში. მან წარჩინებით დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი და სწავლა გააგრძელა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურული ინსტიტუტის ასპირანტურაში, რომლის დამთავრების შემდეგ დღემდე მუშაობს ამ ინსტიტუტში, უფროს მეცნიერ თანამშრომლად. არის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, მისი სამეცნიერო სფეროა: მეოცე საუკუნის ქართული პოეზია, გამოცემული აქვს სამი წიგნი: „XX საუკუნის ქართული ლირიკის ისტორია", რომელსაც დღემდე იყენებენ ლექტორები, დოქტორანტები, სტუდენტები, ასევე, ირაკლი აბაშიძის ლირიკა", „ქართული საბავშვო პოეზია", გამოსაცემად მომზადებული აქვს წიგნი „XX საუკუნის სალიტერატურო პერიოდიკა და ლიტერატურული ცხოვრება", არის ორასზე მეტი სამეცნიერო ლიტერატურულ–კრიტიკული ნაშრომების და საგაზეთო წერილების ავტორი, 12 კოლექტიური მონოგრაფიის თანაავტორი (50-ზე მეტი წერილი), 40-ზე მეტი ლოკალური და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციისა და რამდენიმე საგრანტო პროექტის მონაწილე. სამეცნიერო წერილები გამოქვეყნებული აქვს კემბრიჯის, ბირმინგემის უნივერსიტეტებში, (ცნობილ გამომცემლობა „ბრილის" მიერ). ასევე მისი წერილები დაბეჭდილია კიევში, ლატვიაში, თურქეთში, აზერბაიჯანში... ზოია ბავშვობიდან ლექსებს წერდა და ახლაც...

პირველი ლექსი გამოაქვეყნა ხობის გაზეთში (IX კლასში) სტუდენტობიდან დაწყებული კი იბეჭდებოდა რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში.

განსაკუთრებული ღვაწლისა და დამსახურებისთვის 2013 წელს მას გადაეცა „ამაგდარი საბურთალოელის" დიპლომი.

***ვისი მიბაძვით გახდით მასწავლებელი, ფილოლოგი?***

–რა თქმა უნდა, ჩემი დის მიბაძვით, ის არა მარტო ჩემი, არამედ ჩემი შვილების მასწავლებელიც იყო. ორივე შვილმა კარგი განათლება მიიღო მიყვარდა ჰუმანიტარული საგნები და დავამთავრე პედაგოგიური ინსტიტუტი, დღევანდელი ილიას უნივერსიტეტი.

***როგორია ზაირა ცხადაია, არა როგორც მასწავლებელი, არამედ?..***

–დღეს, როგორც იტყვიან, ფიქრებში „ჩაძირული"... ბოლო წლებმა ბევრი რამე შეცვალა, ყველაფერს განვიცდი. მინდა, რომ ყველა კარგად იყოს, არ იყოს ხვალინდელი დღის შიში, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, ბავშვები იყვნენ კარგად, ძლიერად... ვთვლი თავს, როგორც ერთი უბრალო ადამიანი, არ მიყვარს თავის ქება... იმედი მაქვს ხვალინდელი დღის.

***როგორია თქვენი ცხოვრების წესი?***

–როგორც მასწავლებელს შეეფერება... უპირველესად სკოლა და სახლი... სახლი და სკოლა... როგორც კლასის ხელმძღვანელს, პატარა ბავშვივით მიხარია დროზე მისვლა სკოლაში, ვაკეთებ იმას, რაც მევალება... შაბათი-კვირა მთელი დღე უფრო სახლს ვეკუთვნი, მაქვს ჩემი ბაღი...

***რა გაბედნიერებთ?***

–უპირველესად ბავშვების კარგად ყოფნა, სხვათა ბედნიერება ჩემთვის სიხარულია. სკოლის წარმატებები ყველას გვაბედნიერებს, აგვისტოს ბოლოს ჩანს მიღწევები. წარუმატებელი წელი არ გვქონია. იშვიათობაა 100 პროცენტის ვერ მიღება, მაგრამ 70-თუ 50-იანი გრანტს ბევრი იღებს. ყველაფერი ეს შრომის შედეგია.

***როგორი იყო და არის შეყვარებული ზაირა!?.***

–უზომოდ მიყვარს ჩემი ქვეყანა, ჩემი წინაპრების საფლავები, მიყვარს ხვალინდელ დღეზე ფიქრი, მიყვარს ჩემი შვილები, რძალი, შვილიშვილები. ყველა–ჩემს გარშემო მყოფი... ზოგადად ჩემში ბევრი სიყვარულია, ცოტა... უსიყვარულობა.

***ამბობენ „წარმატება საკუთარი თავის პოვნა და რეალიზაციაა", თქვენი აზრით?..***

–თქვენი პირველი კითხვა– „თქვენთვის გამორჩეული დღე"–ამაზე გიპასუხებთ, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი იყო ჩემს ცხოვრებაში. არასოდეს დამავიწყდება 90-იანი წლები. განათლების მინისტრის ბრძანებით დავინიშნე ხობის №1 საჯარო სკოლაში, რუსულ სექტორში, სადაც ვიმუშავე მხოლოდ ერთი წელი. იმ დროის გახსენება არ მინდა...

***რა გაწუხებთ, ვიცი თქვენი პრობლემებით არავის ამძიმებთ?***

–80-იანი წლების დასასრული იყო (ზუსტად არ მახსოვს წელი). ქვიშხეთში ვისვენებდი ბავშვებთან ერთად და სასწრაფოდ გამომიძახეს პარტიის რაიონულ კომიტეტში. მიზეზი: ან უნდა დამებრუნებინა სახლის მშენებლობისთვის მოცემული სესხი, ან ჩამომართმევდნენ პარტიის მანდატს. ვამჯობინე სესხის დაბრუნება, რადგანაც უმუშევარი ვრჩებოდი თუ სესხს არ დავაბრუნებდი.

მას შემდეგ 35 წელი გავიდა და სახლი, უსულო „საგანი" გვიყურებს ჩვენ... რა თქმა უნდა, პრობლემებით არავის ვამძიმებ.

***ქალბატონო ზაირა, დღეს რა არის თქვენთვის ყველაზე მთავარი?***

–ყველაზე მთავარია ურთიერთობა, სამართლიანობა, მეგობრობა, უბრალოება, ერთმანეთის თანადგომა...

***თქვენთვის ვინ არის თქვენი მოსწავლე, ზოგადად ბავშვი?***

–ძალიან საყვარელი, ჩვენი სიცოცხლე, სული და გული... ჩემი საზრუნავი, ჩემი საქმის დამფასებელი, ახლა რომ ჩემგან სჭირდებათ ყურადღება, თანადგომა, შემდეგ კი მეც გამახარებენ თბილი შეხვედრით და კარგად ვემახსოვრებით.

**ნანი კილასონია**

# „ჩემში ბევრი სიყვარულია..."

# სტუმრად საქართველოს პარლამენტში

**2023 წლის 1 ნოემბერს ხობის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო-ახალგაზრდული საბჭო, ესტუმრა საქართველოს პარლამენტს.**

**ახალგაზრდები დაესწრნენ საპარლამენტო სესიას და შეხვდნენ პარლამენტის წევრებს ბატონ დაჩი ბერაიას, ფოთის, ხობისა და სენაკის მაჟორიტარ დეპუტატს ბატონ გიორგი ხახუბიას.**

**შეხვედრაზე ახალგაზრდებმა პარლამენტის წევრებს გააცნეს მათი საქმიანობა, ისაუბრეს სამომავლო გეგმებზე, ხობში არსებულ ახალგაზრდულ პოლიტიკაზე და ახალგაზრდების როლზე მუნიციპალიტეტისა და ქვეყნის განვითარების საქმეში.**





## ჩვენს მუნიციპალიტეტში

ხობის მუნიციპალიტეტის სოფლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში მოსახლეობის მიერ შერჩეული ინფრასტრუქტურული პროექტები ხორციელდება.

თორსა–სკოლის შემოღობვა და არხის რეაბილიტაცია

წინაგოლა–ნაპირსამაგრის მოწყობა

ყულევი–სკვერის რეაბილიტაცია

ნოჯიხევი (დასახლება)–რკინის ცხაურის მოწყობა

პროგრამით გათვალისწინებული პროექტების განსახორციელებლად 922 000 ლარია გამოყოფილი.

ინფრასტრუქტურული პროექტები მუნიციპალიტეტის სოფლებში რეგისტრირებულმა მოქალაქეებმა დასახლების კრებებსა და კონსულტაციებზე შეარჩიეს.

ხობის მუნიციპალიტეტის საგვიჩიოს და ახალი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულებში სამელიორაციო სამუშაოები მიმდინარეობს.

საგვიჩიოში ხე-ბუჩქნარისგან და ნატანი მასისგან იწმინდება 3-კილომეტრიანი წყალშემკრები არხი, ხოლო ახალ ხიბულაში - 1.4–კილომეტრიანი არხი.

სამელიორაციო არხების რეაბილიტაციის შედეგად გაიზრდება არხების გამტარობა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მოსავლიანობა.

სამელიორაციო სამუშაოებს შპს „საქართველოს მელიორაცია" ახორციელებს.

დოკუმენტი

# ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი (პროექტი)

## განმარტებითი ბარათი

### საკრებულოს დადგენილების პროექტზე „ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

დადგენილება მომზადებულია „საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე და 91 მუხლების, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 78-ე მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლისა და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად და განსაზღვრავს 2024 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.

ბიუჯეტის პარამეტრები

საგადასახადო შემოსავლები

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 61-ე პუნქტების გათვალისწინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებულ საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს.

2024 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 15025,1 ათას ლარს შეადგენს. 2023 წლის საწყის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2024 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 2345,6 ათასი ლარით (18,5 %-ით).

2024 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 10225,1 ათასი ლარით;

2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით დღგ გაზრდილია 27,3 %-ით (2195,6 ათასი ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით;

ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 4800,0 ათას ლარს;

2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით ქონების გადასახადი გაზრდილია 3,2 %-ით (150,0 ათასი ლარით).

2024 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

გრანტების სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 270,4 ათასი ლარამდე, მათ შორის:

სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მისაღები გრანტები 270,4 ათასი ლარი;

2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით გრანტები შემცირდა 529,2 ათასი ლარით), რაც ძირითადად გამოწვეულია, მიმით, რომ საწყის ბიუჯეტში არაა გათვალისწინებული ხობის ცენტრალური პარკის რეაბილიტაციის სამუშაოების ასიგნება, ასევე თავდაცვის სამინისტროს გადაეცა წვევამდელთა, რეზერვისტთა სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის დაფინანსება.

შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 451,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

პროცენტები 200,0 ათასი ლარი.

რენტა 251,0 ათასი ლარი;

2021 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით რენტის მოცულობა გაიზარდა მხოლოდ 1,0 ათასი ლარით.

შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 101,5 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

სანებართვო მოსაკრებლები 9,0 ათასი ლარი;

მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 75,0 ათასი ლარი;

შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან 17,5 ათასი ლარი;

შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 402,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო 357,0 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო 45,0 ათასი ლარი;

•არაფინანსური აქტივების კლების (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 50,0 ათას ლარს;

მუნიცპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

მუნიცპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 16300,0 ათას ლარს (2023 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 1781,4 ათასი ლარით).

2024 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ასახულია დამატებითი ხარჯები ისეთი მიმართულებებით, საკრებულოს, მერიისა და იურიდიული პირების თანამშრომელთა ხელფასების ზრდა კარიერული სქემის შესაბამისად.

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

ინფრასტრუქტურის განვითარება–3292,7 ათასი ლარი; მათ შორის:

საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (გზები და ხიდები)–817,0 ათასი ლარი;

გარე განათება -497,8 ათასი ლარი;

წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია–24,0 ათასი ლარი;

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული აქტივების რეაბილიტაცია - 1166,3 ათასი ლარი;

სანიაღვრე არხების მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია–33,0 ათასი ლარ;

მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების სისტემების მართვა და ექსპლოატაცია–275,7 ათასი ლარი;

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა–25,0 ათასი ლარი;

სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია–73,9 ათასი ლარი;

ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა–30,0 ათასი ლარი;

დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა–816,5 ათასი ლარი;

განათლება–2823,2 ათასი ლარი, მათ შორის:

სკოლამდელი განათლება–2787,2 ათასი ლარი;

2023 წელთან შედარებით თანხები გაზრდილია 42,2 ათასი ლარით (1,5 %), რაც ძირითადად გამოწვეულია პედაგოგების ხელფასების მატებით;

საჯარო სკოლების დაფინანსება–36,0 ათასი ლარი

აღნიშნულიდან 32,0 ათასი ლარი წარმოადგენს სოფელ ქარიატაში სკოლამდელი დაწესებულების აღსაზრდელებისა და მოსწავლეების ტრანსპორტირების ასიგნებას;

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები–2662,4 ათასი ლარი მათ შორის:

სპორტის განვითარების ხელშეწყობა–1334,8 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული ჯგუფების ფუნქციონირების ხელშეწყობა ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის მიზნით. ასევე, სპორტის სხვადასხვა სახეობაში გაიმართება ტურნირები მოყვარულ და პროფესიონალ სპორტსმენებს შორის, მოხდება სპორტული ჯგუფების უზრუნველყოფა საჭირო ინვენტარით. პროგრამა ითვალისწინებს ხობის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებს. ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სპორტის ცენტრი” იფუნქციონირებს სხვადასხვა სპორტული სექციები (ჭიდაობის, კრივის, რაგბის, ჭადრაკის, კარატესა და მკლავჭიდის).

კულტურის განვითარების ხელშეწყობა - 58,3 ათასი ლარი;

ამ კუთხით გამოყოფილი სახსრები განკუთვნილია ისტორიული ძეგლების მონიტორინგისათვის, საჭირო შემთხვევაში არქეოლოგიური კუთხით სადაზვერვო სამუშაოების წარმოებისათვის.

ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება - 45,0 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მომავალი თაობის ფიზიკური გაჯანსაღების მიზნით ტურისტული ლაშქრობები. ასევე ახალგაზრდა თაობის ჩართვა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში. ახალგაზრდების ინიციატივებით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ინიცირებული პროექტების თანადაფინანსება

რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა–15,0 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ხობის ხარების დედათა მონასტრისა და პირველი ხორგის იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტრის ფინანსური მხარდაჭერა.

კულტურული ტრადიციების შენარჩუნებისა და განვითარების ხელშეწყობა - 1209,3 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი ახდენს სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, ახორციელებს კულტურულ ღონისძიებებს, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობ და სანახაობრივ ღონისძიებებს. ცენტრი ასევე ახორციელებს სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზებას მო-

7

დოკუმენტი

# ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი

6

# ბიუჯეტი (პროექტი)

მავალ თაობასთან. აქ ფუნქციონირებს სამუსიკო სკოლა, კომპიუტერის შემსწავლელი ცენტრი. სხვადასხვა სპორტული სექციები (ჭიდაობის, კრივის, რაგბის, ჭადრაკის, კარატესა და მკლავჭიდის) და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა–928,3 ათასი ლარი, მათ შორის:

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება–201,7 ათასი ლარი;

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში ,,საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ: არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება; დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება; მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;

ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დამატებითი ამბულატორიული სამედიცინო დახმარების პროგრამა–53,7 ათასი ლარი;

მუნიციპალიტეტი ახდენს იმ მცირერიცხოვანი სულადობის მქონე სოფლების ამბულატორიულ სამედიცინო მომსახურებას, რომლებიც დარჩნენ სახელმწიფო პროგრამის გარეშე.

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყლია შემდეგი პროგრამების:

•ავადმყოფთა სოციალური დახმარება -255,8 ათასი ლარი;

•სარიტუალო მომსახურება (ომის ვეტერანთა და დევნილთა დაკრძალვის ხარჯები) –6,0 ათასი ლარი;

•მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა, ჩერნობილით დაზარალებულთა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები–8,5 ათასი ლარი

•მრავალშვილიანი ოჯახებისა (4 შვილი და მეტი), დედ-მამით ობოლი ბავშვების და 100 წელს გადაცილებულთა ერთჯერადი დახმარების ხარჯი–22,3 ათასი ლარი;

•უმწეოთა სასადილო და ხანდაზმულთა ბინაზე მომსახურება–125,0 ათასი ლარი;

•ბავშვის შეძენასთან დაკავშირებული ერთჯერადი დახმარების ხარჯი –50,0 ათასი ლარი;

•უმწეო კატეგორიაზე სასმელი წყლის ხარჯის ანაზღაურება–17,0 ათასი ლარი;

უმწეოთა ერთჯერადი დახმარება - 15,0 ათასი ლარი;

ხანძრითა და სტიქიით დაზარალებულთა დახმარება–30,0 ათასი ლარი;

მოსახლეობის სოციალური და საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა–143,3 ათასი ლარი; გათვალისწინებულია შემდეგი პროგრამები:

•არასამთავრობო ორგანიზაციების სოციალური პროგრამების, კერძოდ: მარტოხელა (დაუძლურებულ) ხანდაზმულთა შინმოვლის თანადაფინანსება -20,0 ათასი ლარი;

•ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ერთჯერადი დახმარება (სტატუს მინიჭებულთა)–7,5 ათასი ლარი;

•არასამთავრობო ორგანიზაციების სოციალური პროგრამების, კერძოდ: ძალადობის მსხვერპლ ოჯახებისათვის დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის თანადაფინანსება 5,0 ათასი ლარი;

•უსახლკაროდ დარჩენილთათვის ყოველთვიური ბინის ქირის გადასახადი–3,8 ათასი ლარი;

•სტიქიური მოვლენების და ხანძრის შედეგად დაზარალებულთა (საცხოვრებლის გარეშე დარჩენილთა) ფინანსური დახმარება, რომლებიც საჭიროებენ საცხოვრებელი ფართის დაქირავებას (არაუმეტეს 6 თვის განმავლობაში)–5,0 ათასი ლარი

•სოციალურად დაუცველი ოჯახების (რომლებიც რეგისტრირებული არიან მონაცემთა ერთიან ბაზაში, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 ათას ქულას და რომელთა სახლები საჭიროებს სრულ ან ნაწილობრივ გადახურვას) სახურავის და გადასახურად საჭირო სხვა მასალების შეძენა - 80,0 ათასი ლარი;

•მგლისა და ტურას ამოღება ბუნებიდან -4,0 ათასი ლარი;

•მაწანწალა ძაღლების გაყვანა -18,0 ათასი ლარი.

***დ. ჭოჭუა***
***საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის უფროსი***

**მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები შემდეგნაირად განისაზღვრება:**

**/ათასი ლარი/**

| № | დასახელება | 2023 საწყ. | 2024 საწყ. | 2023-2024 თან | 2024-2023 % |
|---|---|---|---|---|---|
| | ხობის მუნიციპალიტეტი | 14518.6 | 16300.0 | 1781.4 | 112.3 |
